დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა – ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)“

წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა–ბაღების გაერთიანება ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“ (შემდგომში - ”სამსახური”) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”–ს საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაგა–ბაღების გაერთიანებას.
1.2. სამსახურის დამფუძნებელია მარნეულის მუნიციპალიტეტი.
1.3. სამსახური შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2
სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

2.1. სამსახურის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა–ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)“.
2.2. სამსახურის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. მარნეული რუსთაველის ქუჩა №73.
2.3. სამსახურს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, მრგვალი ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.
2.4. სკოლამდენი აღზრდის ცენტრი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია გამოვიდე სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხეთ.
2.5. სამსახური საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე უფლებამოსილია გამოიყენოს და დადგენილი წესით განკარგოს მასზე რიცხული ქონება და ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მის კომპეტენციაში შემავალი ყველა სხვა საკითხი.

მუხლი 3

სამსახურის საქმინაობის მიზნები

3.1. სამსახური ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მოვლა–პატრონობა.
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გათბობის სისტემების, სახურავების შეკეთების, შემინვის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტებისა და დასუფთავების სამუშაოების ორგანიზება და უზრუნველყოფა.
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და კვების ბლოკებში სანიტარული ნორმების დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო, კანალიზაციისა და სხვა სველი წერტილების, წყალმომარაგების, ელექტრო მომარაგებისა და საკომუნიკაციო სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და კონტროლი.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საჭირო ინვენტარით (სკამები, მერხები, სხვა საჭირო მატერიალური ფასეულობანი) აღჭურვის ორგანიზება და უზრუნველყოფა, აღნიშნულ ობიექტებში განთავსებული ავეჯისა და ინვენტარის, სხვა მატერიალურ ფასეულობათა მოვლის, აღრიცხვის, ნორმალური ექსპლუატაციისა და დაცვის უზრუნველყოფა.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სარეზერვო–სათადარიგო მასალების მოცულობის განსაზღვრა და მარაგების შექმნა, მიმდინარე და სეზონური პროფილაქტიკური სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება.
- შესაბამის სტრუქტურებთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის რეგულირება და საამისოდ სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული მედ პუნქტების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა.
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსების, აგრეთვე პედაგოგთა (მასწავლებელთა აღმზრდელთა) და მომსახურე სხვა პერსონალის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სახელმწიფო ენის შესწავლის უზრუნველყოფა.
- ბაგა – ბაღების ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევა საკუთარი წესდების შესაბამისად.

მუხლი 4
სამსახურის უფლება

სამსახურს უფლება აქვს:

1. წარმართოს თავისი საქმიანობა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში.

2. დადოს ხელშეკრულებები და შეიმუშაოს დამოუკიდებელი პროგრამები.

3. ითანამშრომლოს სხვადასხვა საერთაშორისო და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.

4. მოიძიოს დაფინანსების დამატებითი საშვალებები (მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში).

5. წარმართოს სამეურნეო და სხვა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმეო საქმიანობაზე.

6. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით.

7. დაადგინო მატერიალური წახალისების ფორმები და სისტემები.

8. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოახდინოს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სტრუქტურის რეორგანიზაცია.

9. შეიმუშაოს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის შინაგანაწესი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 5
სამსახურის მოვალეობა

5.1. წარმართოს თავისი საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

5.3. დაიცვას დადგენილი სახელმწიფო სტანდარტები.

5.4. იზრუნოს მომუშავე კადრების კვალიფიკაციაზე.

მუხლი 6
სამსახურის სტრუქტურა

6.1. სამსახურის სტრუქტურული ერთეულებია:

- ადმინისტრაცია;
- ბუღალტერია;

6.2. სტრუქტურული ერთეულები ანგარიშვალდებულები არიან სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის წინაშე.

6.3. სტრუქტურული ერთეულები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს მიმართავენ ცენტრის დირექტორის მეშვეობით.

მუხლი 7
სამსახურის მართვა მართვა

7.1. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანმადებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

7.2 სამსახურის დირექტორი:

ა) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სამსახურს ყველა ინსტანციაში;

ბ) პასუხს აგებს სამსახურის საქმიანობაზე;

გ) მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს დასამტკიცებლად წარუდგენს სამსახურის საშტატო განრიგს, სტრუქტურას და სახელფასო ფონდს;

დ) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;

ე) ცენტრის სახელით დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს სამსახურის თანამშრომლებს;

ზ) მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

თ) კანონის ფარგლებში მიმართავს დისციპლინურ და წახალისების ფორმებს;

ი) მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ;

კ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას;

ლ) ქმნის საინფორმაციო ბანკს.

7.3 სამსახურის კონტროლი:

სამსახურის კონტროლს ახორციელებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 8
სამსახურის ქონება

სამსახური დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს მისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული ქონების საფუძველზე, რომელიც დაწესებულების ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ დებულებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 9
სამსახურის ფინანსური სახსრები

9.1 სამსახურის ფინანსური სახსრებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

გ) საჩუქრად გრანტის და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

9.2 ფინანსური სახსრების გამოყენება:

– ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

მუხლი 10
სამსახურის საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა–გაანგარიშება

სამსახური ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა–გაანგარიშება, შეადგინოს ბალანსი და დადგენილ ვადაში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

მუხლი 11
სახელმწიფო კონტროლი

11.1 სამსახურის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის და საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

11.2 სახელმწიფო კონტროლი სამსახურის საქმიანობაზე ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 12
წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება იგივე წესით, რა წესითაც ხდება მისი დამტკიცება.

მუხლი 13
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

13.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

13.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38[1] მუხლის შესაბამისად.

13.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

13.4. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

13.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

13.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

13.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

13.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 14
დასკვნითი დებულებები

14.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების გამოცემისა და ამ წესდების იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

14.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

14.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

14.4. წესდება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სამსახურის დამფუძნებელთან, მეორე დირექტორთან და მესამე საქართველოს იუსტიციის სამინისიტროს სჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.